№ 46 1877—1902 № 46

პარასკევი, 1 მარტი, 1902 წ.

ივერია

პარასკევი, 1 მარტი, 1902 წ.

ГАЗЕТИ ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6. . .	6	—
11. . .	9	50	5. . .	5	50
10. . .	8	75	4. . .	4	75
9. . .	8	—	3. . .	3	50
8. . .	7	25	2. . .	2	75
7. . .	6	50	1. . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ., მეოთხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქციისაგან

რედაქცია გაზ. „ივერიისა“ ბოდიშს იხდის ხელის-მომწერთა წინაშე, რომ **სტამბის მხრივ დაბრკოლებისა გამო** რამდენიმე № გაზეთისა ვერ გამოვიდა. ჯერ ხნობით, დღევანდელს გარემოებაში, რედაქცია იძულებულია სხვა სტამბაში ბეჭდოს გაზეთი. და, რადგანაც ამ ჟამად ახალს სტამბას დიდის ფორმატის შესაფერი მოწყობილობა არა აქვს, დროებით ძველს ფორმატს გაზეთისას დაუბრუნდეს; მაგრამ ყოველივე ღონის-ძიება აქვს მიღებული, რომ, როგორც-კი სტამბა თავისს საქმეს მოაწყობს, ისევ გადიდებულის ფორმატითა ბეჭდოს გაზეთი. გულის ტკივილით აუწყებს-რა ამ გარემოებას რედაქცია თავისს ხელის მომწერთ, ვალდებულადა ჰრაცხს თავსა დაკლებული №№-ები ან ისევ №№-ით შეუვსოს, ან-და რაიმე დამატება მიაწოდოს ხელის-მომწერთ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების თაოსნობით

მარტის 2 დღესა ქართველ კათოლიკეთა ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება დაბადების ასის წლის თავის ღვთის-მსახურება და პანაშვიდი საქართველოს განსვენებულის ისტორიკოს-არქეოლოგის

მარი გროსეს სულის მოსახსენებლად.

ღვთის-მსახურება დაიწყება დილის $11^1/_2$ საათზედ, დასასრული $12^1/_2$ საათზე. (2—უ.—1)

ლეონ, პეტრე, იაკობ ივანეს ძენი და **ბარბარე ივანეს ასული მეფისაშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 26 ამა თებერვალს ძვირფასის დედის

მარიამ იაკობის ასულის მეფისაშვილისას.

მიცვალებულის გვამს კუკიის რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში გასვენებენ პირველ მარტს, დილის 10 საათზედ, საკუთარ სადგომიდგან (ალექსანდრეს ქუჩა, № 1). დასაფლავება კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზედ.

(1—302—1)

პ. ს. დოროჟნოვის

მაღაზიაში

26 თებერვლიდგან დანიშნულია ყველაფრის იაფ-ფასად გასაყიდვა.

(3—ნ.—1)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა

ვლებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

(13—287—3)

ექიმი ვასტანგ ღამგაშვილი

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე, რეუტის ქუჩა, № 24.

(წ.)

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისსა და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

(წ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიჟოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბეძლიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტოგბმკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница — д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памят. Воронцову. (წლ.)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“)

25 თებერვალი.

პარიჟი. რუსეთის მთავრობას მოთხოვნილებით, დაატუსაღეს დრეიერი, რომელსაც მოსკოვში ბრალდება 12,000 მანეთის მითვისება; იმას აღმოაჩნდა 1,100 ფრანკი და სამი ხუთას მანეთიანი ქაღალდის ფული.

პორტ-საიდი. დღეს მოვიდა რუსეთის ესკადრა, რომელიც შესდგება გემებისაგან: „სისოი ველიკი“, „ნავარინ“, „ადმირალ კორნილოვ“, „დიმიტრი დონსკოი“ და „ვლადიმირ მონომახი“.

პარიზი. „პტი ჟურნალის“ სიტყვით, ბიზერტაში მისულია ორი გემი რუსეთის ხმელთა-შუა ზღვის ესკადრისა.

პორტ-საიდი. რუსეთის ესკადრა წავიდა ალექსანდრიასა და ალჟირში, საიდგანაც კრონშტადტში წავა.

ლონდონი. სამხედრო მინისტრმა წაიკითხა დეპუტატთა პალატაში დეპეშა, რომ მეტუენი, რომელსაც დელარეი თავს დაეცა, დაიჭრა და ტყვედ წაიყვანეს. ინგლისელებს მოუკლეს 41, დაუჭრეს 77 და დაეკარგათ 201.

კონსტანტინეპოლი. სამუდამო ციხე გადაუწყვიტეს ევროპაში გაქცეულ დამახ მაჰმუდ-ფაშა სულთანის სიძის შვილებს, აგრეთვე ჰაიდარბეის და პოლკოვნიკს ცეკის.

ლონდონი. ირლანდიის ლიგის ფიცხელ მუშაობის გამო სეფალის პოლკის ბატალიონს, რომელიც დანიშნული იყო სამხრეთ-აფრიკაში სამსახურისთვის, უცბად ებრძანა ირლანდიაში წავიდეს.

პეტერბურგი. „სავაჭრო სამრეწველო გაზეთში“ დაბეჭდილია ფინანსთა სამინისტროსაგან შეგროვილი ცნობები წარსულის წლის 11 თვისა. წლის შემოსავალი აღემატება გასავალს 152.000,000 მან.

26 თებერვალი.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი სააქციზო სამმართველოთა მიმართ იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტროში დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს სპირტის დამზადებისა, მაგარ სასმელების სახაზინო ვაჭრობისა და არყის გამოხდის საჭიროებისათვის.

სადამოონო გადასახადის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ბელგიის მიწათ-მოქმედების მინისტრის ბრძანებით ნება-დართულია გაზიდვა შინაურ ფრინველებისა დამოკონის განსაზღვრულ ბიუროების საშუალებით; ფრინველები ვამზიდველის ხარჯით უნდა გასინჯულ იქმნენ ბეითალების მიერ; ამ ბიუროებს შეძლება დაენიშნოს კარანტინი, რომელსაც საჭიროდ დაინახავს მიწათ-მოქმედების მინისტრი.

სიბირსკი. პარაკლისის შემდეგ გაიხსნა ბაზრობა. გაქირავდა 414 დუქანი, აღებულია შარშანდელზე მეტი 1,211 მ ვაჭრები ბევრი ჩამოვიდა. ბევრი ცხენი მოურეკიათ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სიფხიზლის საზოგადოებას მიეცა 25,000 მანეთი. განზრახვა აქვთ დააარსონ იახტ-კლუბი.

ლუკოიანის მაზრაში განზრახვა აქვთ დაიწყონ საერობო საზოგადო სამუშაო.

კიევი. ბაზრობა არ გათავებულა. მოხდა რამდენიმე კრება აქციონერებისა და სხვა მწარმოებელთა. ბაზრობა, ვაჭრების შუამდგომლობის თანახმად, გაგრძელდება 4 მარტამდე.

ბაქო. უკანასკნელად მოსულ ცნობებით, გაჭირვებულთა რიცხვი შემახაში 12,000-ია. გუშინ დამ კიდევ საგრძნობელი მიწის ძვრა იყო. შემახაში ჩამოვიდა პეტერბურგელი გეოლოგი ვებერი ტფილისელ გეოლოგმა (არქეოლოგმან?) შაჰ-ყულიმ წაიკითხა არაბული წარწერა ჯუმა-მეჩეთზე. გამორკვა, რომ ეს მეჩეთი აშენებულა 1193 წელს. შემახაში ჩამოვიდა უმაღლესის ბრძანებით გამოგზავნილი ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდგან: „დიდის მწუხარებით უნდა შეგატყობინოთ ლორდ მეტუენის ამბავი: იგი მიდიოდა ვინბურგიდან ლიხტენბურგში; მას თან ახლდა 900 ცხენოსანი, მაიორ პერსისის უფროსობით. და 300 ქვეითა ჯარი 4-ის ზარბაზნით. მისი განზრახვა იყო შეერთებოდა 23 თებერვალს როვისაინესფონტენთან გრენფოდს, რომელსაც 1300 ცხენოსანი ჰყავდა. 500 ცხენოსანი მივიდა მარიბოვო-კრაიაპანში; ამათ უკან მისდევდნენ ბურები ოთხის მილის მანძილზე; ესენი იტყობინებიან, რომ მეტუენის ზარბაზნები, მისი ფურგონები და სხვა ბურებს ხელში ჩაუვარდა. მეტუენი რომ უკანასკნელად ნახეს, იგი ბურების ხელში იყო“. უფრო დაწვრილებითი ცნობები დაბარცხების შესახებ კიტჩენერს არ მოსვლია. გუშინ დილით ადრე, დელარეის ჯარები სამის მხრიდან, ტვიბოტსა და პადმიტნილემს შუა, თავს დაესხა მეტუენის ჯარებს. მან უკვე მოახდინა განკარგულება ამ მხრისაკენ ჯარების გაგზავნის შესახებ და თან იმ აზრისა არის, რომ ბურების მოქმედების ამ განცხოველებას მიზნად აქვს მიიქციოს იმ ჯარების ყურადღება, რომელნიც დეველეტს ავიწროვებენ.

ლონდონი. კიტჩენერის მოხსენებით, მაიორი პერსისი გადარჩენილ ჯარის-კაცებით მოვიდა კრაიაპანში და იტყობინება, რაზმი ორად გაიყო და ისე გაუდგა გზას; დილის სამ საათზე იგი ვესპოტიდან გამოვიდა. არ **გასულა ერთი** საათი, რომ ბურები **თავს დაესხნენ**; დამხმარე ჯარის მოსვლამდე მოწინავე ჯარი შუაზე გაარღვიეს;

ამავე დროს დიდძალი რიცხვი ბურებისა იერიშით მივიდა ორივე ფლანგზე. თავდაპირველად ეს იერიში უკუაქციეს, მაგრამ მალე შიშმა შეიპყრო ჯარები. ცხენოსანი ჯარი არეულ-დარეულად წინ გაიქცა, მას უკან მიჰყვა ფურგონებში შებმული ხარები; ამათი გაჩერება შეუძლებელი შეიქმნა. პერსისმა შეჰკრიბა 40 კაცი, დაიკავა პოზიცია და გააჩერა ფურგონები; მამაცურად, მაგრამ უსარგებლო წინააღმდეგობის შემდეგ მტერი შემოიჭრა ფურგონებ შორის. მეტუენი დაჭრილია გვერდში. გარს მტერ-შემორტყმული პერსისი დანებდა მტერს. მეტუენი ჯერ კიდევ ბურების ბანაკშია.

ᲑᲚᲐᲒᲝᲒᲕᲔᲨᲩᲔᲜᲡᲙᲘ. გუბერნატორის ბრძანებით 21 თებერვლიდან შემოღებულია ბლაგოვეშჩენსკში წესიერების გაძლიერებული დაცვა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ბროდრიკმა წაიკითხა პალატაში კიტჩენერის დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ მეტუენს თავს დაესხა დელარეი ტვიბოტთ ნ. მეტუენი დასჭრეს და დატყვევეს, ინგლისელების ზარბაზნებიც წაღებულია. ინგლისელების ზარალია: — 3 აფიცერი და 38 ჯარის-კაცი მოკლული, 5 აფიცერი და 72 ჯარის-კაცი დაჭრილი და 1 ოფიცერი და 200 ჯარის-კაცი დაიკარგა.

26 თებერვალი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ 25 თებერვალს, პროკურორის განკარგულებით დაბეჭდილია პეტერბურგ-აზოვის საკომერციო ბანკის საქმეები. ამ საქმეში პროკურორის ჩარევა გამოიწვია საკომერციო სასამართლოს დადგენილებამ, რომელმაც ეს ბანკი გამოაცხადა გაკოტრებულად. — ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ს დაბადების დღეს პეტრო-პავლოვსკის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა მიცვალებულის წირვა, რომელსაც დაესწრნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და იმპერატორის საგვარეულო წევრნი. იმავე დილას გადაიხადა პანაშვიდი მე-145 ნოვოჩერკასკის იმპერატორ ალექსანდრე მე-III პოლკმა თავისის შეფის საფლავზე. პეტერბურგში დაბრუნდნენ გზათა, იუსტიციისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრნი.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. აქ გაიხსნება სახელმწიფო და რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკების განყოფილებანი.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. ვარშავის სამეურნეო სინდიკატი აარსებს მოსამსახურეთათვის ემერიტალურ კასსას. ამ ოლქის საკომერციო სასწავლებლებში ჰსურთ შემოიღონ ლათინურ ენის სწავლება, მაგრამ სავალდებულო არ იქმნება. საერო საკრედიტო საზოგადოებამ 69 მამული დანიშნა გასასყიდად.

ᲜᲘᲣ-ᲝᲠᲙᲘ. „ნევ-იორკ-ჰერალდი“-ის სიტყვით, პეტერბურგში მყოფ ტოუერს, შეერთებულ შტატების ელჩს, უცხოეთის საქმეთა სამინისტროსათვის გადაუცია ისტორიული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ იქცევოდა რუსეთი ამერიკისა და ესპანიის ომის დროს. ამასთანავე ელჩი დასძენს, რომ პაუნსეფოტი სცდილობდა დაეყოლებინა სახელმწიფოები, გამოეთქვათ უთანხმობა შეერთებულ შტატების პოლიტიკის შესახებ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. „ოხოტნორიადის“ ვაჭრები აგროვებენ ფულს ალექსანდრე ნეველის და იმ წმიდანების ხატების გასაკეთებლად, რომელთა დღეებსაც დღესასწაულობენ და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ის ცხოვრებაში.

„ოხოტნორიადის“ ვაჭართ ჰსურთ ეს ხატი პეტერბურგში წაიღონ და დაასვენონ განმათავისუფლებელ ხელმწიფის საფლავზე სახსოვრად ორმოცის წლის შესრულებისა გლეხობის განთავისუფლებიდან.

ᲝᲓᲔᲡᲐ. ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს მმართველობის უფროსმა ნება მისცა დაიდგას უმავთულო ტელეგრაფის აპარატები ხერსონისა და გოლტის ნავთ-სადგურს შუა, 15 ვერსის მანძილზე, რათა ტეხნიკებმა დაწვრილებით გაიგონ ამის მოწყობილობა. მოკლე ხანში დაიწყება ამ ტელეგრაფის მოქმედება.

ᲑᲘᲘᲡᲙᲘ. აქ მიწის ძვრა იყო. გაგრძელდა 18 წუთს.

ᲞᲔᲜᲖᲐ. წითელის ჯვრის ადგილობრივმა მმართველობამ გამოაცხადა, რომ მიიღებენ შეწირულებას შემახელების სასარგებლოდ.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. გაზეთ „პტი-ბლო“-ს ლონდონიდან სწერენ, რომ დელარეის მიერ დატყვევებულთა რიცხვი მეტუენითურთ ათასამდეა. ორას ერთი კი ის ტყვეები არიან, რომელნიც არ გაუნთავისუფლებიაო.

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ. პრინცმა ჰენრიხმა მისთვის გამართულ უკანასკნელ ნადიმზე აღნიშნა, რომ მის აქ მოსვლას არავითარი საიდუმლო საგანი არა აქვს. პრინცმა თავისი სიტყვა დააბოლოვა შემდეგი: „ვეცადნეთ დამეგობრებას და საქმითაც მართლა მეგობრები ვიქნებითო.“

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. კერძო ხმაა ბელგრადიდან, რომ ჩერნოგორიის მეფის შვილი მირკო დანიშნულა კონსტანტინოვიჩის ქალზე, ობრენოვიჩთა ნათესავზე.

27 თებერვალი.

ᲝᲓᲔᲡᲐ. აქ მოვიდა სამსახურის საქმეებისა გამო სატუსაღოების უმთავრეს მმართველობის უფროსის თანაშემწე გერნეტი. რუსეთის საზოგადოების მიერ გაგზავნილი გემები „აი პეტრი“ და „სმელი“ მივიდნენ სიზოპოლში, სადაც დაიღუპა სამგზავრო გემი „ცესარევნა“, და შეუდგნენ მუშაობას. ჯერ მხოლოდ ახერხებენ გემის წვრილ ნაწილების ამოღებას. მანქანის და უფრო ფასიან ნაწილების ამოღება ძნელიც არის და ხარჯსაც ბევრს მოითხოვს. დნეპრზე დაიწყო გემთა მიმოსვლა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. დეპუტატთა პალატაში სტატს-სეკრეტარმა რიხტგოფენმა გამოაცხადა, რომ ინგლისი თანახმაა გაუგზავნოს გაქცეულ ბურებს ბანაკებში შეწირული სოჯახო ნივთები.

ორატორი სთხოვდა მხედველობაში იქონიონ ის მსხვერპლი, რომელიც მოიტანა ომმა, დაზოგონ ინგლისთა გრძნობა ტ სამხრეთ-აფრიკის ამბების შესახებ იქონიონ სამართლიანი სჯა. „იმისთანა შემთხვევებში, როგორც მეტუენის დაჭრაა, გერმანიას შეუძლიან თანაგრძნობა გამოუცხადოს ინგლისს. შესაძლებელია ნება მოგვცენ გავგზავნოთ სამხრეთ-აფრიკაში საექიმო რაზმი დაჭრილთა დასახმარებლად; ეს მოხერხდება, თუ ინგლისელები დარწმუნდებიან, რომ გერმანელები მათი მეგობრები და ნათესავები არიანო“. ეს სიტყვა ლანდტაგმა მოიწონა.

ᲒᲐᲜᲯᲐ. საქალაქო მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ გაიყვანონ რკინის გზის შტო სადგურიდან ქალაქის შუა გულში.

ᲑᲘᲘᲡᲙᲘ. მაზრის დამშეულ მცხოვრებთა გამოსაკვებად და ყანების დასათესად საჭიროა არ ნაკლებ 300 ათას ფუთ ხორბლისა.

ᲒᲐᲜᲯᲐ. საქალაქო მმართველობამ დაადგინა გახსნას საქალაქო ბანკი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. დეპუტატთა პალატა. ლემბერტი ეკითხება მთავრობას — აპირებს იგი თუ არა მიმშველ ჯარების გაგზავნას სამხრეთ-აფრიკაში მეტუენის დამარცხების გამო. ბროდრიკი უპასუხებს, რომ კიტჩენერს კიდევ ეგზავნება მიმშველი ჯარები. შემდეგ თვეში გაეგზავნება 6,000 იომანრი; გასაგზავნად მზად არის ქვეითი და ცხენოსანი რაზმები

კიტჩენერს ვუგზავნით ყოველ დახმარებას, რომელსაც-კი თხოულობს. ბროდრიკი ჰფიქრობს აგრეთვე, რომ კიტჩენერს არ სჭირია იმაზე მეტი დახმარება, რაც აღნიშნულია.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მთავარმა მირკომ დანიშნა პოლკოვნიკის კონსტანტინოვიჩის ქალი

ᲒᲝᲒᲝᲚᲔᲕᲘ. პრინცი ჰენრიხი დაბრუნდა.

ᲙᲝᲠᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. საერო კრებამ ხმის უმრავლესობით მოიწონა ხელშეკრულობა ვეს-ტინდიის კუნძულების გადაცემის შესახებ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გეჯასი (არაბეთში) საშიშრად არის ცნობილი ხოლერის მხრივ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 27 თებერვალი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ, თანახმად პროკურორის აზრისა, ერთხმად მოსპო გამგეობის წევრის ვოლსკისა და საბჭოს 20 ამოსნის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება, რადგან მათს მოქმედებაში არავითარი კვალი დანაშაულობისა არ აღმოჩნდა.

—

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ „რუსკი ინვალიდში“ დაბეჭდილია ცნობები პრიამურის და კვანტუნის ოლქების ჯარების მთავარ-სარდლისა, რომ ხუნხუზების ბრბონი განფანტულ იქმნა ჩვენის ჯარის მიერ: ათასის კაცისგან შემდგარი ბრბო დამარცხებულ იქმნა 17 იანვარს ტუნგოუს ახლოს; განდევნილ იქმნენ სხვა ბრბონიც.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ დღეს გლეხმა კუზნეცოვმა დანით მოკლა პოლიციელი, რომელსაც გამოჰყავდა იგი საჩაედგან. — მადნის მრეწველთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს ახალის რკინის გზების გაყვანის შესახებ. კრება დაიხურა.

ᲑᲚᲐᲒᲝᲒᲕᲔᲨᲩᲔᲜᲡᲙᲘ. შეცდომით იყო გამოცხადებული ბლაგოვეშჩენსკსა და ზეე პრისტანში გაძლიერებულ დაცვის შემოღების შესახებ; გამოქვეყნებულია მხოლოდ სავალდებულო დადგენილება ყრილობათა შესახებ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მადნის მრეწველთა კრებამ დაადგინა იქონიოს მუდმივი ორგანო და კრებები მოწვეულ იქმნას საჭიროებისა და-გვარად.

ᲑᲘᲖᲔᲠᲢᲐ. ადმირალი კრიგერი ხმელთა-შუა ზღვის ესკადრით წავიდა ალჟირში; ადგილობრივი გარნიზონი ნაპირზე იდგა და ორკესტრმა შეასრულა რუსული ჰიმნი; რუსეთის ჯაჯშნიან გემზე მუსიკამ შეასრულა მარსელიეზა.

ᲕᲔᲜᲐ. „Neue Freie Presse“ განიხილავს მირკოს დანიშვნას და ამბობს, რომ ობრენოვიჩების ნათესავობას ყარაგეორგიევიჩებსა და ჩერნოგორიის მთავართან მაინც ტ მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს: სერბიის ტახტის მემკვიდრეობის საქმე მარტო სერბიასა და ჩერნოგორიას არ შეეხება, არამედ დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოთაგან, განსაკუთრებით რუსეთისა და ავსტრიისაგან.

ᲕᲔᲜᲐ. გუშინ ავსტრ რუსეთის სავაჭრო კავშირის მიერ მოწვეული იყო კრება ავსტრიის მრეწველობის რუსეთთან ურთიერთობის გასაძლიერებელ საშუალებათა გამოსანახავად. კრებას დაესწრო უმთავრესი კონსული კუდრიაშევი, ავსტრიის სამინისტროების წარმომადგენელნი, ბევრი დეპუტატი და ფაბრიკანტი. ვარშავში ავსტრ-უნგრეთის საკონსულოში მსახურმა პოლმა განმარტება წარმოადგინა ვარშავში საადგენტოს დაარსების შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ სასურველია ვარშავში საკონსულოსთან საკომერციო განყოფილების დაარსება.

ᲜᲘᲣ-ᲝᲠᲙᲘ პრინცმა ჰენრიხმა წასვლის წინ დეპეშა გაუგზავნა რუზველტს, რომელშიაც მადლობას უმეორებს და იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მოსვლა დამტკიცებს მეგობრობას ამერიკასა და გერმანიას შორის. რუზველტმა უპასუხა სიხარულის გამოთქმით, რომ პრინცის მოსვლამ ხელი შეუწყო დამეგობრებას და სასურველია, რომ ეს მეგობრობა მომავალში უფრო განმტკიცდეს.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ*). ერთი უცხოეთის საქმეთა დაწესებულების მოხელეთაგანი აცხადებს, რომ რუსებმა გაგზავნეს მანჯურიის საღვარზე იეხოლში, სადაც ყაჩაღებმა წაიყვანეს ბელგიელი მღვდლები, 500 კაცისაგან შემდგარი რაზმი წესიერების აღსადგენად.

28 თებერვალი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ „ტორგოვო-პრომ. გაზეტა“ აცხადებს, რომ პეშავერიდგან (ინდოეთი) ჩამოვიდა ერთის დიდის სავაჭროს სახლის წარმომადგენელ მოსკოველ მანუფაქტურისტებთან სავაჭრო პიროგბათა შესაკვრელად. უკანასკნელის სიტყვით, ინდოეთში მოთხოვნილებაა რუსულის საქონლის, რომელსაც ინგლისის საქონელზე მაღლა აყენებს.

საპატიმროთა მოღვაწეების კრება მოხდება 11—44 მარტს. უმთავრესს შტაბს მოუვიდა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა: „გენერალი მიშჩენკო 18 თებერვალს დაეწია ცხენოსანთა რაზმით გოუ-ბან-ცხის ჩრდილოეთით 300 ხუნხუზის ბრბოს; მოკლულ იქმნა 200 ხუნხუზი და მათი უფროსი; წავართვით სამი ზარბაზანი, ბევრი თოფი და სხ.; ჩვენ დაგვიჭრეს ორი ყაზახი. „ნოვოე ვრემიას“ ატყობინებენ მოსკოვიდგან, რომ ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოურავმა წაიკითხა მოსკოვის მცხოვრებთა აღწერის შედეგები: სულ მოსკოვში გარე უბნებითურთ ყოფილა 1.173,469 მცხოვრები. მათში 663,757 კაცი და 509,712 ქალი; 1897 წ. აღწერასთან შედარებით მცხოვრებთა რიცხვს მოუმატნია 105,000-ით, 1882 წ. აღწერასთან შედარებით-კი 340,000-ით.

ᲑᲐᲥᲣ. საქველ-მოქმედო კომიტეტმა შემახელთა სასარგებლოდ ჯერჯერობით შეკრიბა 100,000 მ. „კასპიის“ რედაქციამ მიიღო 3000 მან. აქ ჩამოსულ შემახელებს აძლევენ ფულს ერთის თვით გამოსაკვებად. ფლიგელ-ადიუტანტმა ობოლენსკიმ ერთი დღე დაჰყო შემახაში და შემდეგ წავიდა დაზარალებულ სოფლებში. განზრახვა აქვთ ააგონ უსახლ-კაროთათვის ხის ბარაკები, რომლებიც დაჯდება 50 ათასი მან.; ნახევარს ხარჯს იძლევა ობოლენსკი, ნახევარს — წითელი ჯვარი. — უეცრად გარდაიცვალა გერმანიის კონსული სტეპუნი.

ᲕᲔᲜᲐ. რუსეთის საელჩოში მოხდა რუსეთის უმთავრესის კონსულის კულრიავცევის თავმჯდომარეობით კრება შეხახებ ტანისამოსთა საერთაშორისო გამოფენისა პეტერბურგში; კრებას დაესწრენ რუსეთის ელჩი და სავაჭრო სამინისტროს წარმომადგენელნი. კულრიავცევმა სთქვა: „გამოფენ. ხელს შეუწყობს მეგობრულის განწყობილებას ავსტრ-უნგრეთსა და რუსეთს შორის და მათს სავაჭრო ინტერესებს“ სავაჭრო სამინისტროს წარმომადგენელთა აღუთქვეს გამოფენას მთავრობის დახმარება. გრაფმა კაპნისტმა გამოსთქვა განსაკუთრებული სიამოვნება და მადლობა იმა! გამო, რომ პეტერბურგის გამოფენა იწვევს ასეთს ინტერესს

ᲝᲓᲔᲡᲘᲐ. დაიწყო ნავიგაცია ოდესასა ღა აზოვის ზღვის პორტებს შორის.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ მთავრობამ შეიტანა კანონ-პროექტი პოლ-ტიკურის უფლებას გაფართოვებას შესახებ. კანონ-პროექტით., ყოველს პირს, რომელსაც 25 წელიწადი შეუსრულდა და ნება აქვთ სათემო არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ექნება საპოლიტიკო არჩევნებს უფლება.



ᲛᲐᲣᲠᲜᲐᲚᲘ

Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-დე. სუდებნი ქ., 18.

(წლ.)

*) დაგვიანდა.

Дозвол. Цензурою. Тифл. 1 Марта 1902 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქ., № 117, 118. დროებითი რედაქტ. Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ. გამომც. Ი. ᲨᲐᲕᲨᲐᲕᲫᲔ.